მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღრიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

2. დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
გაცემული სესხები	6,866.19	6,960
სესხების გაუფასურების ანარიცხი	4,157.32	2,784
სავაჭრო მოთხოვნები	3,568,653.32	1,856,409
სულ	3,579,676.83	1,866,153.63

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

3. მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შემენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,528,814.31 ლარს.

	31.12.2018	31.12.2017
საქონელი	1,528,814.31	1,092,035.60
სულ	1,528,814.31	1,092,035.60

4, ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2015 წელი	1,733,567.70	17,694,680.23	4,725,177.84	540,507.38	163,000.84	24,856,933.99
კაპიტალში მიღება	53,890.40	5,318,844.67	1,305,449.97	77,597.25		6,755,782.29
გასხვისება	151,403.94	2,107,496.06	871,839.88	58,141.40		3,188,881.28
მიმდინარე ცვეთის ხარჯი	-	727,481.94	492,833.76	62,008.72	20,234.51	1,302,558.93
დაგროვილი ცვეთის ხარჯი		1,593,841.93	1,142,724.27	175,643.99	61,828.27	2,974,038.46
31 დეკემბერი 2016 წელი	1,636,054.16	18,584,704.97	3,523,229.90	322,310.52	80,938.06	24,147,237.61
კაპიტალში მიღება	77,995.50	3,518,477.39	1,602,232.30	54,271.80		5,252,976.99
შეძენა					24,302.37	24,302.37
გასხვისება	28,515.00			4,658.40		33,173.40
ჩამოწერა			250,293.00			250,293.00
ცვეთის ხარჯი		1,105,159.13	1,077,225.17	74,384.77	21,048.09	2,277,817.16
31 დეკემბერი 2017 წელი	1,685,534.66	20,998,023.23	3,797,944.03	297,539.15	84,192.34	26,863,233.41
კაპიტალში მიღება	741,894.36	3,192,924.41	419,658.50	78,824.30	-	4,433,301.57
შეძენა			274,218.44	921.60	-	275,140.04
შვილობილი საწარმოს ქონება		2,091,177.00	1,036,026.00			3,127,203.00
დროებით სარგებლობაში მიღება			8,116.65	-		8,116.65
გასხვისება	43,078.00	416,214.00	2,325.00	-	-	461,617.00
ცვეთის ხარჯი		1,253,952.85	1,045,467.88	78,996.35	19,440.07	2,397,857.15
31 დეკემბერი 2018 წელი	2,384,351.02	24,611,957.79	4,488,170.74	298,288.70	64,752.27	31,847,520.52
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2015 წელი	1,733,567.70	17,694,680.23	4,725,177.84	540,507.38	163,000.84	24,856,933.99
31 დეკემბერი 2016 წელი	1,636,054.16	18,584,704.97	3,523,229.90	322,310.52	80,938.06	24,147,237.61
31 დეკემბერი 2017 წელი	1,685,534.66	20,998,023.23	3,797,944.03	297,539.15	84,192.34	26,863,233.41
31 დეკემბერი 2018 წელი	2,384,351.02	24,611,957.79	4,488,170.74	298,288.70	64,752.27	31,847,520.52

5. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პატენტები	პროგრ. უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2015 წელი		6,950.00	6,950.00
მიმდინარე ამორტიზაცია		792.67	792.67
დაგროვილი ამორტიზაცია		1,665.54	
31 დეკემბერი 2016 წელი		4,491.79	4,491.79
შეძენა		4,500.00	4,500.00
ამორტიზაცია		1,348.77	1,348.77
31 დეკემბერი 2017 წელი		7,643.02	7,643.02
შეძენა			-
ამორტიზაცია		1,349.00	1,349.00
31 დეკემბერი 2018 წელი		6,294.02	6,294.02

6. ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ერიცხება 2,583,753.41 ლარის კრედიტორული დავალიანება.

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო ვალდებულებები	781,571.59	201,974.89
სხვა ფინანსური ვალდებულებები	260,325.32	136,487.86
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	1,541,856.50	840,242.04
სულ	2,583,753.41	1,178,704.79

მოგება ზარალის ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

8. შემოსავალი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნა
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8,081,999	5,583,989	N 8
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	79,199	50,387	
ცვეთა და ამორტიზაცია	2,373,389	2,012,659	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	825,034	406,402	
საოპერაციო მოგება	(2,715,373)	(2,772,664)	

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

9. გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	328,760	553,375	N 9
გაცემულ სესხებზე			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება(ზარალში) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან	97,965		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	94,156		
სხვა ფინანსური შემოსავალი	27,901	27,071	
სხვა ფინანსური ხარჯი	(240,706)		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	349,445	526,304	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(2,386,613)	(2,219,289)	
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	(2,386,613)	(2,219,289)	
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება/(ზარალი)	(2,386,613)	(2,219,289)	

10. სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	N 10		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი	2,429,670	1,740	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	2,429,670	1,740	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	43,057	(2,217,549)	

კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 36,055,661ლარს

	შენიშვნა	კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის</u>		<u>27,403,387</u>	=	<u>-1,250,357</u>	<u>26,153,030</u>
მოგება / (ზარალი)				-2,219,289	-2,219,289
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			1,740		1740
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		-	-	-2,219,289	-2,217,549
კაპიტალის გაზრდა	17	4,872,074			4,872,074
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება					
დივიდენდის გამოცხადება					-
სხვა					-
<u>ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის</u>		<u>32,275,461</u>	<u>1,740</u>	<u>-3,469,646</u>	<u>28,807,555</u>
-		-	-	-	-
მოგება / (ზარალი)				-2,386,613	-2,386,613
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			2,429,670		2,429,670
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)					43,057
კაპიტალის გაზრდა	18	5,166,855	-		5,166,855
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			-1,740		-1,740
დივიდენდის გამოცხადება					
სხვა				2,039,934	2,039,934
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის</u>		<u>37,442,316</u>	<u>2,429,670</u>	<u>-3,816,325</u>	<u>36,055,661</u>

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	478,748.71			478,748.71
დებიტორული დავალიანება	3,568,653.32			3,568,653.32
სულ ფინანსური აქტივები	4,047,402.03	-	-	4,047,402.03
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი				-
კრედიტორული დავალიანება	781,571.59			781,571.59
გრძელვადიანი სესხები				-
სულ ფინანსური ვალდებულებები	781,571.59	-	-	781,571.59
ლიკვიდურობის პოზიცია	3,265,830.44	-	-	3,265,830.44

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	159,403.00			159,403.00
დებიტორული დავალიანება	1,092,035.60			1,092,035.60
სულ ფინანსური აქტივები	1,251,438.60	-	-	1,251,438.60
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი				
კრედიტორული დავალიანება	201,974.89			
გრძელვადიანი სესხები			-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	201,974.89	-	-	-
ლიკვიდურობის პოზიცია	1,049,463.71	-	-	1,251,438.60

სავალუტო რისკი

რისკი არ არსებობს, რადგან ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ ქართულ ლარში

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საზოგადოებამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. საზოგადოება პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კომპანიის ზოგი აქტივი და ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების

გამოსათვლელად, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისაწვდომი პირველი დონის მონაცემები, კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან, რომლებიც ახორციელებენ შეფასებას დადგენილი შესაფერისი შეფასების ტექნიკებზე და მოდელისთვის საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომარეობის გამოყენება, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზი). შემფასებლების მიერ ამგვარად განსაზღვრული ფასები კომპანიის მიერ გამოიყენება კორექტირების გარეშე. ასეთი შეფასებებისთვის კომპანიამ შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიებიდან უნდა გააკეთოს არჩევანი და გამოთვალოს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები.

შიდა კონტროლის სისტემის შესახებ

შიდა კონტროლის სისტემის შეფასება მოხდა უშუალოდ სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც აუცილებელი იყო რათა გამოთქმულიყო მოსაზრება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების სიზუსტის შესახებ. აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაო არ ნიშნავს შიდა კონტროლის სისტემის სრულ და ყოვლისმომცველ შესწავლას ყველა არსებული სიტუაციის ან შეცდომის გამოვლენის მიზნით.

ორგანიზაციის და მისი შიდა კონტროლის მდგომარეობის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელობას.

შიდა კონტროლის საიმედოობის შეფასებისას ყურადღება გამახვილებული იქნა ამ სისტემის უნარზე გააკონტროლოს:

- ბუღალტერიაში არსებული სამეურნეო ოპერაციების რეალურობა
- ასახული სამეურნეო ოპერაციების სისრულე
- აქტივებისა და ვალდებულებების ადეკვატური შეფასება და კლასიფიკაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ადეკვატური შეჯამება და განზოგადოება

შიდა კონტროლის სისტემის საიმედოობის და კონტროლის გარემოს შესაფასებლად განხილული იქნა დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის შემდეგი მხარეები:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა
- ანგარიშების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არეები, სადაც მაღალია ბუღალტრული ანგარიშგების შეცდომის რისკი

- იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებების და ვალდებულებების განაწილება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ანგარიშგების შედგენაში
- სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ რეგისტრებში ასახვის თანმიმდევრობა და ამ რეგისტრების განზოგადების ფორმები და მეთოდები

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტორული შემოწმების შედეგებს, დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემა ფასდება დამაკმაყოფილებლად.

დაწესებულებას არ გააჩნია დოკუმენტის სახით გაწერილი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც რეგლამენტირებულია აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, კომპიუტერული პროგრამების, დოკუმენტბრუნვის, თანამშრომელთა უფლებამოსილებების გადანაწილების, აქტივების დაცვის, ვალდებულებებისა და კაპიტალის მართვისა და სხვა კონტროლის პროცედურები. არსებობს შრომითი კონტრაქტები და დირექტორის ბრძანებები, სადაც განსაზღვრულია დაქირავებულთა უფლება-მოვალეობები, რაც ნაწილობრივ ავსებს შიდა კონტროლის სისტემას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხულია რაოდენობრივად და თანხობრივად საშუალო-შეწონილი მეთოდით და იძლევა რეალურ სურათს მათი თვითღირებულების ფორმირების, გადაადგილებისა და ხარჯებად აღიარების შესახებ. დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით პერიოდულად განხორციელებულია სმფ-ების ინვენტარიზაციები.

ნებისმიერი ჩვენი გაკეთებული დასკვნა ეყრდნობა ჩატარებულ აუდიტს, რომელიც განხორციელდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კანონებისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით და აუდიტის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

შპს “საკონსულტაციო ჯგუფი კავკასიაუდიტი”

აუდიტორი

გიორგი ჯიბლაძე

30.09.2018 წელი



შ.პ.ს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის”

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

31 დეკემბერი 2018

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შ.პ.ს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამოჯვრის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

შ.პ.ს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის”

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

31 დეკემბერი 2018


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შ.პ.ს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი



ფინანსური დირექტორი



დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

ბატონებო,

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.


2019 წლის 30 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

შპს “საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი”

აუდიტორი

გიორგი ჯიბლაძე

30.09.2019 წელი



ზოგადი ინფორმაცია

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” ჩამოყალიბდა შპს “იმედის” რეორგანიზაციის შედეგად, რის საფუძველსაც წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 სექტემბრის #1/1-791 ბრძანება. შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება დამტკიცებულია საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 დეკემბრის #1/1-1243 ბრძანების თანახმად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N 01-1296/ო შპს „ო. ჩხოვაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთ სამკურნალო სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის“ (ს/კ 212672080) 100% წილი შეტანილი იქნა შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის” კაპიტალში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის # 1830 განკარგულების, შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის” სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ”, საფუძველზე და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, წილის მართვის უფლება სამინისტროს გადაეცა უსასყიდლოთ 5 წლის ვადით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის ბრძანება # 01-346ო საფუძველზე შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის” შეერწყა შპს რეგიონალური სამედიცინო ცენტრი რის შედეგადაც შ.პ.ს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრს“ გაეზარდა საწესდებო კაპიტალი 4,969,360 ლარით, აღნიშნული თანხა მთლიანად გადარიცხულია შ.პ.ს „ალიანს მედი+“ - ის ანგარიშზე, თანახმად (2014 წლის 12 დეკემბრის თანხის გადარიცხვის შესახებ #2 ადმინისტრაციული ხელშეკრულება), შ.პ.ს „ალიანს მედი+“-ს, შ.პ.ს „სადაზღვეო კომპანია ჯი-პი-აი ჯგუფ“-სა და შ.პ.ს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრს“ შორი 2014 წლის 13 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, წილის ნასყიდობის შესახებ.

საზოგადოების იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, მ.ასათიანის ქუჩა # 9. საზოგადოების კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 36,055,661 ლარს.

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ამბოლატორიული და სტაციონალური სამედიცინო სერვისების განხორციელება.

საქმიანობა და სტრატეგია

ჯანმრთელობის დაცვა სოციალური სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარება ნებისმიერი ხელისუფლების ზრუნვის ძირითადი საგანია. ცივილიზებულ საზოგადოებაში, ადამიანთა სოციალური მდგომარეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის დონის მიუხედავად, ჯანდაცვის მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საქართველოში ჯანდაცვა ათწლეულების მანძილზე (მხედველობაში გვაქვს საბჭოთა პერიოდი) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდებოდა და იგი პრაქტიკულად ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სოციალური სფეროს ყველა დარგი მძიმე პირობებში აღმოჩნდა. ეს სიტუაცია განსაკუთრებით აისახა ჯანდაცვის სფეროზე. მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის, სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებისა და სტრუქტურის არსებითი ცვლილების, დარგის სახელმწიფო დაფინანსების მკვეთრი დაქვეითების პირობებში ადამიანთა უმეტესობისათვის ჯანდაცვის მომსახურება თითქმის ხელმიუწვდომელი გახდა.

საზოგადოების განვითარების კონცეფცია წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის ხედვას, რომელშიც თავმოყრილია დარგის განვითარების საფუძვლები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულ პრინციპებთან და ფასეულობებთან მიმართებაში. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საზოგადოების პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად ფასეულობებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლიანობა, რაც, სხვა მიმართულებებთან ერთად, მოიცავს სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას.

საზოგადოების მიზანი მოიცავს ჯანდაცვის სექტორის განვითარების ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა უნივერსალიზმი, მდგრადობა, ხარჯთ-ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობა და ჯანდაცვის მიზნებისათვის უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვის ეკონომიკურ არგუმენტებს, რომელთა თანახმადაც, საზოგადოების ჯანმრთელობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. გარდა ამისა, ჯანდაცვა თავად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს დასაქმების, ახალი ტექნოლოგიების კვლევებისა და განვითარების, ასევე ზოგადად, ეკონომიკური აქტივობების თვალსაზრისით.

აღნიშნული ფასეულობების, პრინციპებისა და არგუმენტების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული პოლიტიკური დეკლარაციები და სამოქმედო პლატფორმები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. საზოგადოების საქმიანობა ეყრდნობა შემდეგ სამართლებრივ დოკუმენტებს: საქართველოს კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის

შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ და ამ კანონებიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებს: ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია 2010-2020 წწ.; ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“ - 2011-2015 წწ., „ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“ – 2015-2020 წ.

საზოგადოების მიზანია ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა, მარეგულირებელი და საზედამხედველო მექანიზმების სრულყოფა. საზოგადოება განსაზღვრავს და დაარეგულირებს საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის პრიორიტეტებს, ფინანსური რესურსების სწორი გადანაწილების გზით გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე.

სტრატეგიული მენეჯმენტი მოწოდებულია, გაზარდოს ცვლილებებისადმი ორგანიზაციის ადაპტაციის უნარი. ცვლილებები, ერთი მხრივ, წარმოშობს საფრთხეებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ბიზნესისთვის ახალი შესაძლებლობების წყაროა. მაგალითად, ინტერნეტის გამოყენებამ საფუძველი დაუდო ელექტრონული კომერციის უსწრაფეს განვითარებას. ამასთან, მუდმივად გათვალისწინებულია ისიც, რომ სწრაფად ცვალებადი კონკურენტული გარემოცვის პირობებში ინოვაცია დიდხანს არ ინარჩუნებს სიახლეს. სტრატეგია, რომელსაც იყენებს კომპანია, სწრაფად იქცევა ტიპურად, ანუ აღარ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის წყაროს, ამიტომ, დიდი ყურადღება ეთმობა ცვლილებებს. სტრატეგიული მენეჯმენტის სახით კომპანია იყენებს სამ უმთავრეს პრინციპს, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- 1. ბაზარზე სტრატეგიული ქმედებების მართვა:** იმ სტრატეგიის შემუშავება, დაზუსტება და რეალიზება, რომელიც იძლევა ბაზარზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. სტრატეგია არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იცვლება ურთიერთობები პარტნიორებთან და კონკურენტებთან. სწორედ მისი რეალიზების მეშვეობით აღწევს ორგანიზაცია კონკურენტულ უპირატესობას.
- 2. ორგანიზაციის მართვა:** ორგანიზაციის შიდა ცვლილებები განსაზღვრავს ბაზარზე მისი მოღვაწეობის მიმართულებებს. ამგვარი ცვლილებების გარეშე ორგანიზაცია ვერ შეძლებს, შეცვალოს საკუთარი მახასიათებლები: ტექნიკური აღჭურვა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში დასაქმებული ხელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიული ოსტატობა. ორგანიზაციული ცვლილებები გარე გარემოს ცვალებადობაზე რეაგირების, მათთან ადაპტირების და საკუთარი მიზნებისთვის მათი გამოყენების საშუალებას აძლევს კომპანიას.
- 3. სტრატეგიული მენეჯმენტის რეალიზება:** ნიშნავს ურთიერთქმედებას სტრატეგიასა (ის, რასაც ორგანიზაცია აკეთებს ბაზარზე) და ორგანიზაციულ პროცესებს შორის (ის, რაც საკუთრივ ორგანიზაციაში ხდება).

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნის სიღრმე დიდწილად განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, აგრეთვე, მათი გამოწვევა და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება. კომპანია ატარებს შემდეგ ცვლილებებს თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად- მასშტაბის, კომპანიის გარეგნობის, კომპანიის მიზნების - მიმართულება.

ნებისმიერი კომპანიისათვის ბიზნესის მოცულობასთან დაკავშირებული საკითხები ცენტრალურია. მასშტაბების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მან რეალურად უნდა შეაფასოს მის ხელთ არსებული რესურსები და ამის შესაბამისად შეარჩიოს ხელმისაწვდომი ვარიანტები. არც ერთ კომპანიას არ შეუძლია, ბაზარს შესთავაზოს პროდუქციის ან მომსახურების უსასრულო არჩევანი. თვით პარტნიორების დახმარებითაც კი, მას არ ძალუძს, მოიცვას ყველა პოტენციური მომხმარებელი. რეალურად, მხოლოდ მცირე მათგანს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი დარგის ყველა სეგმენტზე, ამიტომ მასშტაბის განსაზღვრისას ორგანიზაცია ირჩევს იმ “სათამაშო მოედანს”, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს მის ინტერესებს და შესაძლებლობებს. სწორედ აქ გააჩნია მას ყველაზე წონადი კონკურენტული უპირატესობა.

განვითარების უწყვეტი პროცესი

კომპანია იმყოფება ბიზნესის განვითარების გზების ძიებაში. საქმიანობის პირველ წლებში ბიზნესის ზრდა ხდებოდა ძირითადად თავისუფალი ვაჭრობის ობიექტების დამატებისა და ქსელის განვითარების ხარჯზე.

სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია ახორციელებს საქმიანობას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრონციპებზე დაყრდნობით. მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში.

გამჭვირვალობა

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

დასაქმება და თანამშრომლები

დასაქმებულთა რაოდენობით კომპანია ითვლება საშუალო ზომის კომპანიად. კომპანიის ზრდის პროპორციულად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 1550 ადამიანი,

კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვა და სხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას.

კომპანია თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოფიციალური წყაროების საშუალებით ღიად ახდენს კადრების შერჩევას. პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით კომპანია რეგულარულად ადგენს კადრების გადამზადებას როგორც შიდა ასევე მოწვეული ტრენერების მეშვეობით.

განვითარება და ინოვაციები

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება და ამ გზით შემოსავლებისა და მოგების ზრდა.

ამასთანავე კომპანია მუდმივად ახალი პროექტების განვითარებისა და ბიზნესის ზრდის შესაძლებლობების ძიებაშია.

საზოგადოება მჭირდოდ თანამშრომლობს ადგილობრივ მწარმოებლებთან და ახდენს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებას.

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	478,748.71			478,748.71
დებიტორული დავალიანება	3,568,653.32			3,568,653.32
სულ ფინანსური აქტივები	4,047,402.03	-	-	4,047,402.03
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი				-
კრედიტორული დავალიანება	781,571.59			781,571.59
გრძელვადიანი სესხები				-
სულ ფინანსური ვალდებულებები	781,571.59	-	-	781,571.59
ლიკვიდურობის პოზიცია	3,265,830.44	-	-	3,265,830.44

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	159,403.00			159,403.00
დებიტორული დავალიანება	1,092,035.60			1,092,035.60
სულ ფინანსური აქტივები	1,251,438.60	-	-	1,251,438.60
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი				
კრედიტორული დავალიანება	201,974.89			
გრძელვადიანი სესხები			-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	201,974.89	-	-	-
ლიკვიდურობის პოზიცია	1,049,463.71	-	-	1,251,438.60

სავალუტო რისკი

რისკი არ არსებობს, რადგან ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ ქართულ ლარში